თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 19

12 დეკემბერი 2018 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 23 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე;**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი;**

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის
თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **დავით გოგოშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის
„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
თავმჯდომარე **არჩილი თვალიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე **ბესიკი ქოჩიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე — გიგა მამუკელაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
-კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე — გიორგი ქიზიყელაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის
„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
თავმჯდომარის მოადგილე — მიხეილ გრემელაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
თავმჯდომარის მოადგილე — ბაადური რევაზიშვილი.

საკრებულოს წევრები: ლევანი ოთიურიძე, ალექსანდრე კუპატაძე, გურამ წულუკიძე, ლევან მრელაშვილი,ზაქარია ყარასაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ზურაბი ლილუაშვილი, ბესიკ გაიპარაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ნათია ვაყელიშვილი;
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი გიორგი ენუქიძე;
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ლევან ბერძენაშვილი;
საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი.
საკრებულოს აპარატის თანამშრომლები: ნიკა სახიაშვილი, სოფიო ოხანაშვილი;
მოქალაქეები: არჩილ მჭედლიშვილი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის მოწვევის მიზეზი და დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის №01 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.00სთ-დან - 12.15 სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ.ენუქიძე
12.15სთ-დან -12.30სთ-მდე

წარმოდგენილი სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის №01 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.00სთ-დან - 12.15 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ბ.რევაზიშვილმა** აღნიშნა, რომ სოციალურ პროგრამებში თანხები გაუხარჯავი არ უნდა რჩებოდეს და მაქსიმალურად უნდა დავეხმაროთ მოსახლეობას.

გ.მამუკელაშვილმა დასვა კითხვა ბაგა-ბაღების სააგენტოსათვის თანხის გამოყოფის მიზნობრიობასთან დაკავშირებით, რაზეც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თანხები ემატება საჭიროებიდან გამომდინარე, წლის ბოლომდე ნორმალური ფუნქციონირებისათვის, მიმდინარე ხარჯების და კომუნალური გადასახადებისათვის.

დ.ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული მიმართულებით დარჩენილი ეკონომიებიდან მიღებული თანხები უნდა მოხმარდეს ისევ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 19 (ცხრამეტი) წევრმა, წინაღმდეგი - 02(ორი) წევრი - **ბ.რევაზიშვილი, ა.კუპატაძე,** კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01 (ერთი) წევრმა: **ზ.ნაცარაშვილმა.**

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №10 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2018 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ.ენუქიძე
12.15სთ-დან -12.30სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ლ.მრელაშვილმა** აღნიშნა, რომ მომავალი წლის სოციალური პროგრამები უნდა იყოს უფრო მოქნილი, რათა შევძლოთ მაქსიმალურად

საკრებულოს წევრების მიერ აღინიშნა, რომ დროულად უნდა მოხდეს მოსახლეობის ინფორმირება რათა, წლის ბოლომდე შევძლოთ მათი დახმარება.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 22(ოცდაორი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01 (ერთი) წევრმა: ზ.ნაცარაშვილმა.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე